

**ეროვნული კვლევა
საქართველოს სკოლებში
ქალაქობის შესახებ**

განმხორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია:

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი

კვლევითი კომპანია:

ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი „ბი-სი-ჯი“

სტატისტიკოსი (შერჩევა):

მამუკა ნადარეიშვილი

იუნისეფის კონსულტანტები:

ადამ ჯ. ზოლოტორი, MD, MPH, პროფესორი მარგარეტ ა. ლინჩი, MD

ანგარიშის ავტორები:

ადამ ზოლოტორი

ლია სარალიძე

ნინო გოგუაძე

მარგარეტ ა. ლინჩი

შინაარსი

წინასიტყვაობა	4
ზოგადი ინფორმაცია	5
სკოლაში არსებული კლიმატის, ძალადობის შემცირებისა და ბულინგის განმარტებები	7
მეთოდები	8
ანალიზი	9
შედეგები	9
შერჩევის მახასიათებლები	10
ICAST კითხვარის შედეგები	10
ბავშვების სხვადასხვა გამოცდილების შეჯამება	10
გენდერული და ასაკობრივი განსხვავებები	11
განსხვავებები ადგილმდებარეობის მიხედვით	13
განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით	15
განსხვავებები მშობლებთან ერთად და უმშობლოდ მცხოვრებ ბავშვებს შორის ძალადობის ტიპების მიხედვით	15
ძალადობის ინიციატორები	16
ძალადობის დეტალები	17
ფიზიკური ძალადობა	18
ფსიქოლოგიური ძალადობა	19
სექსობრივი ძალადობა	20
ოჯახში, სკოლაში და სპეციალურ დაწესებულებებში განხორციელებული ძალადობის შედარება	20
საერთაშორისო კონტექსტი	22
სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული კითხვარიდან მიღებული შედეგები	23
შეჯამება და რეცომენდაციები	32
გამოყენებული ლიტერატურა	37
დანართი 1. შერჩევა	38
დანართი 2. ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრა	39
დანართი 3. კითხვარი	40

წინასიტყვაობა

გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ანგარიშმა მსოფლიოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის შესახებ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია და მის ცენტრში ბავშვების მიმართ განხორციელებული ყველა სახის ძალადობის მაღალი მაჩვენებელი დააყენა. ეს ანგარიში მოუწოდებდა თითოეულ ქვეყანას შემდგომი კვლევა განხორციელებინათ და ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბი გაეანალიზებინათ. კვლევა სკოლებში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაიმართა გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) მხარდაჭერით, აღნიშნული რეკომენდაციების შედეგს წარმოადგენს. ამავდროულად ის ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ შესრულებული ეროვნული კვლევის ერთგვარი დამატებაცაა. ორივე კვლევა ადგილობრივ მმართველობასთან, არასამთავრობო სექტორსა და ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოებასთან (ISPCAN) თანამშრომლობით განხორციელდა.

სკოლებში ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის კვლევაში აღწერილია ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის სიტუაცია სკოლებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე. მაშინ, როცა ამ კვლევით გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ სკოლის მიმართ და უმეტესი მათგანის მიხედვით ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, აღინიშნა, რომ მათი 47.1% ფიზიკურ ძალადობას, ხოლო 47.5% კი ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდა. ზოგადად, ძალადობა მოსწავლეების მხრიდან მომდინარეობს; თუმცა, ხშირად აღინიშნა, რომ სკოლის გარემოში მყოფი უფროსებიც ხშირად ახორციელებდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ბავშვების მიმართ. მოსწავლეებმა ზოგადად აღნიშნეს, რომ ძალადობა მოსწავლეებს შორის ხდებოდა სკოლის სათამაშო ტერიტორიაზე ან/და სკოლიდან, ან სკოლისაკენ მიმავალ გზაზე.

კვლევაში მოცემულია ძლიერი საფუძველი ისეთი პოლიტიკის შემუშავებისთვის, სადაც პროცესები ბავშვების დაცვაზე ორიენტირებული იქნება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამზადებს „უსაფრთხო სკოლის პოლიტიკას“, რათა სკოლები ძალადობის გარეშე არსებობდეს და ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების დონე ამაღლდეს. აღნიშნული პოლიტიკის საუკეთესოდ განვითარებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცნობიერებს, რომ საჭიროა სკოლაში არსებული ძალადობის მასშტაბის უკეთ დადგენა, თანატოლთა შორის ძალადობის ჩათვლით, რაც ასევე უფროსის მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობასაც მოიცავს. პოლიტიკის მიზანია დადებითი სასკოლო კლიმატი გააძლიეროს და ცვლილებასა და უსაფრთხოებას მხარი დაუჭიროოს.

გარდა ამისა, კვლევა ასევე დახმარებას გაუწევს სახელმწიფოსა და სხვა დაწესებულებებს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაში. მასში მოცემულია ფარგლები იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველანაირი ფორმის ძალადობა ბავშვების მიმართ, მოხდეს მათზე რეაგირება და ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება ძალადობის შედეგების შესახებ.

იუნისეფის წარმომადგენლობა საქართველოში დიდ მადლობას უხდის ბავშვებსა და მათ მშობლებს, ასევე მრავალ ორგანიზაციას, რომლებიც ამ კვლევაში მონაწილეობდნენ, კერძოდ კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ISPCAN-ს, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდს, კვლევით კომპანიას BCG. მადლიერებას გამოვხატავთ იმ თავდადებისათვის, რაც როგორც ადგილობრივმა, ასევე საერთაშორისო ექსპერტებმა და ამ ანგარიშის ავტორებმა გამოიჩინეს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მარგარეტ ა. ლინჩს, ლია სარალიძეს, ადამ ზოლოტორს, დესმონდ რანიანსა და ქრისტოფერ გიტინსს.

ჯოვანა ბარბერისი

იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში

საქართველო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს, შეიმუშაოს უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა, რომლის მიზანია, სკოლა გახდეს ძალადობისაგან თავისუფალი ადგილი, რათა ხელი შეეწყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების პროცესს საქართველოს სკოლებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღიარებს, რომ უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის საუკეთესო სახით შემუშავების მიზნით საჭიროა, გათვითცნობიერებული იქნეს სკოლებში ძალადობის მასშტაბი, მოსწავლეთა შორის ძალადობა და უფროსების მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობა, ასევე სკოლებში არსებული კლიმატი და სკოლის, როგორც ორგანიზაციის, მზაობა, განახორციელოს ახალი სტრატეგიები და პროგრამები ცვლილებების ხელშეწყობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

ზოგადი ინფორმაცია

ძალადობა ბავშვთა და მოზარდთა მიმართ მაღალი პროცენტული სიხშირით გვხვდება მთელი მსოფლიოს სკოლებში (უილიამსი, 2007). 37 ქვეყანაში ჩატარებული ვრცელი კვლევის შედეგების შესაბამისად, მოსწავლეთა საშუალოდ 28%-მა განაცხადა, რომ ისინი სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ უკანასკნელი თვის განმავლობაში (დიაპაზონი ქვეყნების მიხედვით 5-75%), ხოლო მოსწავლეთა საშუალოდ 48%-მა განაცხადა, რომ მათი მეგობარი გახდა სკოლაში ძალადობის მსხვერპლი უკანასკნელი თვის განმავლობაში (დიაპაზონი 15-80%). აღნიშნული კვლევის თანახმად, სკოლებში ძალადობის პროცენტული მაჩვენებლები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — რუმინეთსა და უნგრეთში, თუმცა შედარებითი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი საქართველოსთვის (აკიბა, 2002).

სკოლებში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მუშტით ჩხუბი, ხელის კვრა და ე.წ. „ბულინგი“ - დაშინება, დაჩაგვრა (მურაკამი, 2006). სკოლებში სერიოზული ძალადობის რისკ-ფაქტორებია სკოლის დიდი ზომა, უფრო დიდი ასაკის ბავშვები, ასევე ბანდებისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული აქტივობის არსებობა. მოსწავლეთა შორის ძალადობის თვალსაზრისით რისკის ფაქტორებია, აგრეთვე, ინდივიდუალური ფაქტორები, როგორცაა ჭარბი წონა, ეთნიკური ან რასობრივი უმცირესობის წევრობა, სიღარიბე ან სექსუალური უმცირესობისადმი კუთვნილება (მურაკამი, 2006; პინიერი, 2006; პიკეტი, 2005). შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი, ხოლო შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები – ბულინგის ინიციატორები. სკოლებში მკვლევლობებისა და თვითმკვლევლობების პროცენტული მაჩვენებლები დაბალია და აშშ-ში შეადგენს მკვლევლობებისა და თვითმკვლევლობების მთლიანი პროცენტული მაჩვენებლების მხოლოდ 1 პროცენტს (მურაკამი, 2006). მაგრამ, როდესაც ადგილი აქვს ასეთ ცალკეულ შემთხვევებს, მათ შედეგად სასკოლო საზოგადოებებში იზრდება შიში და, ამავე დროს, ხდება რეაგირების მობილიზება. სკოლებში უსაფრთხოების შეგრძნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ოპტიმალური განვითარებისა და განათლების პროცესის წარმატებისათვის (ქიული, 2006).

2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონოდებით მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე. ამ კვლევის შესახებ ანგარიშში სკოლებში ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით აღნიშნულია:

„იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს სწავლა ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, რომ სკოლები უნდა იყოს უსაფრთხო, მათში უნდა სუფევდეს

ბავშვებისადმი მეგობრული გარემო, სასწავლო პროგრამა ბავშვთა უფლებების გათვალისწინებით უნდა იყოს შემუშავებული და სკოლები უნდა უზრუნველყოფდნენ ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ძალადობის ხელშემწყობი დამოკიდებულებების შეცვლა და არაძალადობრივი ფასეულობებისა და ქცევების შესწავლა, ჩემი რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფოებმა:

1. ხელი შეუწყონ სკოლებს, რათა მათ მიიღონ და ცხოვრებაში გაატარონ ქცევის კოდექსები, რომლებიც შეეხება ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს, დაუპირისპირდება ძალადობის ნებისმიერ ფორმას სქესზე დამყარებული სტერეოტიპებისა და ქცევების, ასევე დისკრიმინაციის სხვა ფორმების გათვალისწინებით;
2. უზრუნველყონ, რომ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები იყენებდნენ სწავლებისა და სწავლის ისეთ არაძალადობრივ სტრატეგიებს, საკლასო ოთახის მართვის და დისციპლინურ ზომებს, რომლებიც შიშს, მიუქარას, დამცირებას ან ფიზიკურ ძალას არ ემყარება;
3. მოახდინონ სკოლებში ძალადობის პრევენცია და შემცირება ისეთი სპეციფიკური პროგრამების საშუალებით, რომლებიც ეხება მთელ სასკოლო კლიმატს და მოიცავს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორცაა კონფლიქტების მოგვარებისადმი არაძალადობრივი მიდგომა, ბუღინგის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიების განხორციელება და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიმართ პატივისცემის ხელშეწყობა.
4. უზრუნველყონ, რომ სასწავლო პროგრამები, სწავლების პროცესები და სხვა პრაქტიკა სრულად შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებებსა და პრინციპებს და არ შეიცავდეს რაიმე ისეთს, რაც აქტიურად თუ პასიურად ხელს შეუწყობდა ძალადობასა და დისკრიმინაციას, მათი ნებისმიერი გამოვლინებით.”

აღნიშნული ამოცანის მიღწევის პროცესში სახელმწიფოებისა და სკოლების მხარდაჭერის მიზნით კვლევის შედეგად მომზადდა რეკომენდაცია, რომ მეცნიერებმა და პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა შეიმუშაონ განმარტებებისა და კვლევის ინსტრუმენტების საერთო სისტემა, რათა შესწავლილი იქნეს ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ. ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოება დათანხმდა, თავის თავზე აეღო წამყვანი როლი საერთო ინსტრუმენტების ახალი სისტემის შემუშავებისა და ტესტირების პროცესში. საერთო განმარტებებისა და კვლევის ინსტრუმენტების არსებობის საჭიროება ემყარება იმ წინაპირობას, რომ საერთო ინსტრუმენტები შესაძლოა სასარგებლო იყოს შემდეგი მიზნებისათვის:

- 1) განისაზღვროს პრობლემის მასშტაბი ეროვნულ კონტექსტში,
- 2) დაისახოს ეროვნული პრიორიტეტები და ნიშნულები შედარებისათვის,
- 3) შემუშავდეს პროგრამებისა და დაფინანსების პრიორიტეტები ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში. (პინირო, 2006)

აღნიშნული პროცესის შედეგი გახდა იმ ინსტრუმენტების ძირეული სისტემის შემუშავება, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ბავშვთა მიმართ ძალადობის შეფასების მიზნით მრავალეროვნულ/კულტურულ/ენობრივ კონტექსტში. აღნიშნული ინსტრუმენტები ცნობილია როგორც ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების (ISPCAN) ბავშვთა მიმართ ძალადობის სკანირების ინსტრუმენტები (ICAST), ვერსიები P (parents=მშობლები), R (retrospective=რეტროსპექტივა) და C (child=ბავშვი). ყველა აღნიშნული ინსტრუმენტი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ ექსპერტთა შეხვედრებისა და დელფის პროცესის შედეგად შემუშავდა. ისინი ასევე ითარგმნა მრავალ ენაზე, შესრულდა მათი უკუთარგმანი და განხორციელდა თითოეული მათგანის ტესტირება 4-8 ქვეყანაში. ICAST C შემდეგ დაიყო ოჯახურ გარემოში ძალადობის შეფასების ინსტრუმენტად (ICAST C H ანუ home=სახლი) და სკოლაში ან სამუშაო ადგილზე ძალადობის შეფასების ინსტრუმენტად (ICAST C I ანუ institution=დანესებულება). ტერმინი „დანესებულება“ განკუთვნილია მხოლოდ იმისათვის, რომ განვასხვავოთ ოჯახურ გარემოში ძალადობის გასაზომად შექმნილი ინსტრუმენტისაგან. ICAST P და ICAST CI გამოყენებული იქნა საქართველოში, რათა გამოკვლევულიყო ძალადობა ოჯახურ გარემოსა და ბავშვთა სახლებში (იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებიც არაოჯახურ გარემოში ცხოვრობენ). ვინაიდან ICAST CI ყოველსმომცველი ხასიათისაა, შემუშავებულია მრავალკულტურული გარემოსათვის, უკვე იყო გამოყენებული საქართველოში და ნათარგმნია ქართულ ენაზე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ძირითადი ინსტრუმენტი კვლევისათვის „უსაფრთხო სკოლა“.

სკოლაში არსებული კლიმატის, ძალადობის შემცირებისა და ბულინგის განმარტებები

მრავალი რამ არის დანერგილი იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს სასკოლო კლიმატი ძალადობაზე თეორიული პერსპექტივიდან. არსებობს ზოგიერთი კვლევა, რომელიც ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება მთავარი ამოცანაა იმ სკოლებისათვის, რომელთაც ძალადობის შემცირება სურთ. იმისათვის, რომ სკოლებს გაეწიოს დახმარება აღნიშნული ამოცანის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია, მიღწეული იქნეს კონსენსუსი ისეთი ტერმინების მნიშვნელობის თაობაზე, როგორებიცაა „კლიმატი“, „ძალადობა“ და „ბულინგი“ სკოლის კონტექსტში. მოცემულ სფეროში ტერმინთა განმარტება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს – განსაკუთრებით ევროპაში არსებული მდიდარი კულტურული და ლინგვისტური სხვადასხვაობის გათვალისწინებით (სმიტი, 2003). ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სკოლებისათვის იძლევა რეკომენდაციას, რომ აქცენტი გაკეთდეს ძალადობის ზიანის მომტან ეფექტზე სხვადასხვა კულტურაში, განურჩევლად კონკრეტული ტერმინოლოგიისა (გიტენსი, 2006). კონვივენცია – ესპანური სიტყვა, რომელიც „ჭარმონიულ თანაცხოვრებას“ ნიშნავს — არის ერთ-ერთი გზა იმისათვის, რომ დამყარდეს პროსოციალური კლიმატი, რომელიც შეზღუდავდა ძალადობას და ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ზრდასა და განვითარებას. სკოლაში ძალადობის შესახებ მომზადებული ანგარიში გვანვდის ინფორმაციას, თუ როგორ შევამციროთ ძალადობრივი ქცევის გავლენა კლიმატზე – რათა შევინარჩუნოთ კონვივენცია.

ბულინგი ძალადობრივი ქცევების იმ სპექტრს განეკუთვნება, რომელიც სკოლებში გვხვდება. ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ბულინგს შემდეგნაირად განმარტავს: „ბულინგი გულისხმობს სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენების შეგნებულ და უმეტესწილად არაპროვოცირებულ მცდელობებს. თავისი ხასიათით ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური და ვერბალური ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი. ბულინგი მოიცავს ერთი ან მეტი ადამიანის მიერ სხვა ადამიანის მიმართ გამეორებით ჩადენილ ნეგატიურ ქმედებებს, ასევე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალის დისბალანსს“. თუმცა სკოლებში ბულინგის განსაზღვრისას ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ბულინგის შედეგები ბავშვისათვის, კონკრეტულად კი ის ზიანი, რასაც ის ბავშვის სასწავლო უნარს აყენებს.

მაგალითად, სასკოლო კლიმატის შეფასების გარკვეულ ელემენტებს, როგორიცაა სკოლებში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ადგილები, შესაძლებელია პრაქტიკული შედეგები ჰქონდეს უსაფრთხო სკოლების პოლიტიკის შემუშავების თვალსაზ-

რისით. თუ, ბავშვებისა და ახალგაზრდების განცხადებების შესაბამისად, ისინი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ სათამაშო მოედნების ზოგიერთ ნაწილებში ან გასახდელ-ლებში, ამ ადგილებში მაკონტროლებელი ადამიანის დაყენება შესაძლოა სკოლებში ძალადობის მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი გახდეს. თუმცა თუ აღნიშნული პირი, თავის მხრივ, პოზიტიურ წვლილს არ შეიტანს სასკოლო საზოგადოების წევრ-თა პროსოციალურ ქცევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ შემაკავებელ ეფექტს გრძელვადიანი ზეგავლენა ექნეს სასკოლო კლიმატის კონვიენციაზე — ძალადობა უბრალოდ სხვა ადგილას გადაინაცვლებს. ძალადობაზე ქმედითი რეაგირების ზომე-ბის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის არის, რომ ისინი ქმედით ზეგავლენას ახდენენ ძალადობრივი ქცევის მიზეზებზე და არა მხოლოდ სიმპტომებზე.

სკოლის ხელმძღვანელობამ, რომელსაც სურს, მიაღწიოს ძალადობისა და ბულინგის შემცირებას, გონივრულად უნდა შეაფასოს, თუ რამდენად კარგად არის ორგანიზე-ბული და აღჭურვილი სკოლა იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კონვიენციის კლიმატი და მოხდეს ძალადობაზე რეაგირება ისეთი გზებით, რომლებიც მისი გამეორების თავ-იდან აცილებაში დაგვეხმარება. ეს გულისხმობს სკოლის მზაობას საიმისოდ, რომ მხ-არდაჭერა გაუწიოს მიმდინარე ადგილობრივ მცდელობებს, სკოლის ძლიერ მხარეებს. ამ თვალსაზრისით ის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს, შესაძლე-ბელია მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდეს ცალკეულ სკოლებში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის შემუშავებისას.

აღნიშნული მიზეზების გამო გადაწყვიტეთ, წინამდებარე დოკუმენტში ორი დამატე-ბითი გვერდი შეგვეტანა, სადაც მოცემულია შეკითხვები სასკოლო კლიმატის, დამოკიდებულებების, ბულინგის, ძალადობის ადგილისა და დროის შესახებ. აღნიშ-ნული შეკითხვები ადაპტირებული იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გამოკითხვიდან ბავშვთა ქცევების შესახებ, რომელიც 43 ქვეყანაში ჩატარდა და ძლიერი ფსიქომეტრიული თვისებების, ასევე სხვადასხვა კულტურის შემთხვევაში სანდოობისა და ნამდვილობის დემონსტრირება მოახდინა (ჯანმრთელობის მსოფ-ლიო ორგანიზაცია, 2006). ეს შეკითხვები განკუთვნილია არა მარტო სკოლებში ძალა-დობის ისეთი პრაქტიკული ასპექტების შეფასებისათვის, როგორებიცაა ძალადობის ჩვეულებრივი დრო და ადგილი, არამედ იმის შეფასებისათვისაც, თუ როგორი ზოგადი შეგრძნებები აქვთ ბავშვებს საკუთარ სკოლასთან, უსაფრთხოებასთან, მშობელთა მონაწილეობასა და სკოლის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

მეთოდი

ჩვენ შევიმუშავეთ შერჩევის გეგმა, რომლის მიზანი იყო, გამოეკვლია 1300 ბავშვი საქართველოს 93 (თბილისის 33 და რეგიონების 60) სკოლიდან.

ამან საშუალება მოგვცა, ადეკვატური სიზუსტით დაგვედგინა ძალადობის უფრო გავრ-ცელებული ტიპების პროცენტული დონეები (ანუ ის ტიპები, რომლებიც მოსწავლეთა 10%-ში არის გავრცელებული), +-2%-ის ფარგლებში (95% ნდობის ინტერვალით (CI)). წარმომადგენლობითი კვლევის დიზაინის ფარგლებში ეროვნული დონეების დასად-გენად ჩვენ გამოვიყენეთ კლასტერის სელექციის მრავალეტაპიანი შერჩევის დიზაინი, რომლის მსგავსიც ოჯახში ძალადობის კვლევის პროცესში გამოიყენებოდა. კვლევის ჩასატარებლად განკუთვნილი სახელმძღვანელო ითარგმნა და ჩატარდა ინტერვი-უერთა ტრენინგი. მოპოვებული იქნა ეთიკური თანხმობა ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებლყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების ეთიკური საკითხების განმხილველი საბჭოსაგან. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით, სახლის და საცხოვრებელი ინსტიტუციური გარემოს კვლევის პროცესის პარალელუ-რად. მონაცემები შეყვანილი და გაანალიზებული იქნა „ბი-სი-ჯი“-ს მიერ.

ანალიზი

ძალადობის თითოეული იმ ტიპის სიხშირე, რომელიც დადგინდა ICAST CI-ს გამოყენების შედეგად, გამოთვლილი იქნა დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით უკანასკნელი წლის განმავლობაში, ოდესმე (არა უკანასკნელი წლის განმავლობაში) და მთლიანად. შემდეგ მოხდა ამ მაჩვენებლების ტაბულაცია იმ დადებითი პასუხების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, რაც უკავშირდებოდა მეორე ბავშვს, უფროსს ან ორივეს. ასევე, ძალადობის თითოეული ტიპი შეჯამდა, რათა შეფასებულიყო იმ ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც მოგვანოდეს ინფორმაცია მათ მიმართ განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობა) ერთი ან მეტი ტიპის შესახებ. საბოლოოდ, მოხდა ძალადობის კროსტაბულაცია ბავშვის სქესის, ეთნიკური კუთვნილების/რასის/რელიგიის (როგორც შეესაბამებოდა ფაილის უჯრის ზომის მიხედვით) და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, რისთვისაც გამოიყენება „ბი-სი-ჯი“-ს მიერ მონოდებული შეფასების საშუალება. აღნიშნული ინსტრუმენტი იყენებს X კვადრატულ სტატისტიკას კატეგორიული ცვლადებისათვის და ასევე T ტესტებს მუდმივი ცვლადებისათვის. სფეროები, რომლებშიც განხორციელდა სასკოლო კლიმატის შეფასება, მოიცავდა: დამოკიდებულებას სკოლის მიმართ, ურთიერთობებს მოსწავლეებს შორის, მასწავლებელთა ქცევას მოსწავლეთა მიმართ და მშობელთა პოზიციას და მონაწილეობას სასკოლო პროცესებში. დადგინდა თითოეული მათგანის საშუალო, ისევე, როგორც ამ ერთეულების ყოველი დაჯგუფების საშუალო, ლიკერტის ხუთქულიანი სკალის გამოყენებით, სადაც პასუხების დიაპაზონი იწყება პასუხით „აბსოლუტურად ვეთანხმები“ და სრულდება პასუხით „სრულებით არ ვეთანხმები“. მოხდა ასევე ქვესკალების კროსტაბულაცია ბავშვის სქესის, ასაკის, რეგიონის, ეკონომიკური სტატუსისა და იმის მიხედვით, მართო ერთ თუ ორივე მშობლიან ოჯახში ცხოვრობდნენ. სკოლაში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ადგილები და დრო გამოვლინდა როგორც მარტივი სიხშირეები. ანალიზი SPSS-ის გამოყენებით განხორციელდა.

შედეგები

შერჩევის მახასიათებლები

მოსწავლეთა გამოკითხვა ჩატარდა ინდივიდუალურად, სკოლებში. შერჩეული ბავშვებიდან ექვსმა არჩია, მონაწილეობა არ მიეღო გამოკითხვაში, მაგრამ ყველა იმ ბავშვმა, ვინც მონაწილეობაზე დათანხმდა, ინტერვიუ დაასრულა და ყველა შეკითხვას გასცა პასუხი. სულ ჩატარდა 1300 ინტერვიუ და უარი თქვა ექვსმა ბავშვმა, შედეგად პასუხების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 99.5%.

შერჩევის რეგიონები და სქესი მითითებულია 1-ლ ცხრილში. მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება აღწერილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 1: ბავშვთა მახასიათებლები (1300)

		N	%
სქესი	ბიჭი	645	49.6
	გოგონა	655	50.4
ადგილი	თბილისი	347	26.7
	რეგიონი	953	73.3
	ქალაქი	727	55.9
	სოფელი	573	44.1

ცხრილი 2: მთლიანი შერჩევის ასაკობრივი განაწილება (1300)

ასაკი	N	%
10	108	8.3
11	179	13.8
12	200	15.4
13	180	13.8
14	193	14.8
15	168	12.9
16	198	15.2
17	74	5.7

შერჩევა თანაბრად იქნა გაყოფილი ბიჭებსა და გოგონებს შორის. ბავშვთა თითქმის სამი მეოთხედი ცხოვრობდა თბილისს გარეთ, ხოლო მათ ნახევარზე მეტი — ურბანულ ტერიტორიებზე. გამოკითხული 6 კლასის წარმომადგენლები ასაკობრივად კარგად იქნენ გადანაწილებულნი. 10-17 წლის ასაკის ბავშვებმა წარმოადგინეს ასაკობრივი ჯგუფი კლასების მიხედვით. მე-11 კლასში იყვნენ 16 და 17 წლის მოზარდები.

ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობა ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობდა. მთლიანი შერჩევის მხოლოდ 4.9%-მა თქვა, რომ უდედოდ ცხოვრობს, ხოლო 14.8% პროცენტი მამის გარეშე ცხოვრობდა (შედეგები არ არის ნაჩვენები).

ICAST კითხვარის შედეგები

ბავშვების სხვადასხვა სახის გამოცდილების შეჯამება

ბავშვებს სთხოვეს, გაეზიარებინათ თავიანთი გრძნობები სკოლასთან დაკავშირებით. მათი პასუხები მოცემულია მე-3 ცხრილში, სადაც ნაჩვენებია, რომ ბავშვების უმეტესობა, თუმცა არა ყველა მათგანი, თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

ცხრილი 3: ბავშვთა შეგრძნებები სკოლასთან დაკავშირებით

	ყოველთვის	ჩვეულებრივ	ზოგჯერ	არასოდეს
სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობ?	77.5%	17.2%	3.9%	1.4%
სკოლაში სიარული გიყვარს?	66.7%	24.2%	8.6%	0.5%

ბავშვების და ახალგაზრდების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ისინი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. მათი უმეტესობა (77.5%) თავს ყოველთვის უსაფრთხოდ გრძნობს, ხოლო 17.2% თავს ჩვეულებრივ უსაფრთხოდ გრძნობს. ბავშვებისა და ახალგაზრდების გარკვეული მცირე რაოდენობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 1.4% თავს არასოდეს არ გრძნობს უსაფრთხოდ სკოლაში, ხოლო 3.9% თავს მხოლოდ ზოგჯერ გრძნობს უსაფრთხოდ. გამოკითხული ბავშვებისა და ახალგაზრდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ყოველთვის (66.7%) ან ჩვეულებრივ (24.2%) გააჩნიათ სკოლაში სიარულის სურვილი. გამოკითხული ბავშვებისა და მოზარდების მხოლოდ 0.5%-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათ არასოდეს არ მოსწონთ სკოლაში სიარული და 8.6%-მა აღნიშნა, რომ მათ ხანდახან მოსწონთ სკოლაში სიარული. ბავშვებისა და

ახალგაზრდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნიათ სკოლაში სიარულთან დაკავშირებით.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს სთხოვეს, მოეთხროთ გასული წლის და წარსულში ნებისმიერი მონაკვეთის განმავლობაში საკუთარი გამოცდილების შესახებ. მათი პასუხები შეჯამებულია მე-4 ცხრილში. ბავშვების მიერ განცდილი ძალადობის ყველა შემთხვევა მოხდა სკოლაში, ბავშვების უმუშალო მონაწილეობით. ქვემოთ მოცემულია შემაჯამებელი ინფორმაცია და მითითებულია, რომ ბავშვმა გამოსცადა ძალადობის ერთი ან მეტი ტიპი ამ კატეგორიაში (ან გასულ წელს ან ოდესმე, გასული წლის ჩათვლით). ძალადობის შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მინოდების შემდეგ ბავშვს ეკითხებოდნენ, ვის მიერ იყო ჩადენილი აღნიშნული ქმედება: სხვა ბავშვის, უფროსის თუ ორივეს მიერ. მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია მე-4 ცხრილში, მოიცავს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის შემთხვევებს, რომლებიც ჩადენილი იქნა სკოლაში უფროსის ან სხვა ბავშვის მიერ.

ცხრილი 4: ბავშვთა სხვადასხვა სახის გამოცდილების შეჯამება - ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობა

ძალადობის ტიპი	გასულ წელს		ოდესმე	
		%		%
ფიზიკური	612	47.1	802	61.7
ფსიქოლოგიური	617	47.5	733	56.4
სქესობრივი	73	5.6	95	7.3

ბავშვებმა და ახალგაზრდებმა მთლიანობაში აღნიშნეს, რომ სკოლებში არსებობს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები — ხელის კვრიდან დაჭრამდე; მაღალია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ბულინგის პროცენტულ დონე. სქესობრივი ძალადობის მაჩვენებელი საგრძნობლად უფრო დაბალი იყო. ICASI CI-ს ტესტირებისას ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში სკოლებში აღნიშნული სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლები მერყეობდა 8-დან 49%-მდე, ხოლო საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 22%-ს. „ბი-სი-ჯი“-ს ინტერვიუებმა აღნიშნეს, რომ ინტერვიუს ამ ნაწილის დროს ბავშვები და ახალგაზრდები ამკარად ყველაზე არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს და ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირდათ. საცდელი ტესტირებისაგან განსხვავებით, საქართველოში კვლევა პირისპირ ინტერვიუების საშუალებით ჩატარდა, რაც ნაკლებ ანონიმურობას უზრუნველყოფს, ვიდრე წერილობითი კითხვარებით ჩატარებული გამოკითხვა. შეკითხვები სქესობრივი ძალადობის შესახებ შესაძლოა უფრო ტაბუდადებული იყოს და, შესაბამისად, მათზე პასუხები — უფრო არაობიექტური (ვინაიდან რესპონდენტი ფიქრობს, თუ როგორი პასუხია სოციალურად სასურველი), ვიდრე ის კითხვები, რომლებიც ძალადობის სხვა ტიპებს ეხება. სანამ არ ჩატარდება დამატებითი კვლევა იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა დაესვათ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეკითხვები სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული მათი გამოცდილების შესახებ, მოცემულ შედეგებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

გენდერული და ასაკობრივი განსხვავებები


განსხვავებები ბიჭებსა და გოგონებს შორის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის კუთხით შეჯამებულია მე-5 ცხრილში და ნაჩვენებია 1-ლ დიაგრამაზე.

ცხრილი 5: გენდერული ძალადობის თვალსაზრისით ბავშვთა გასული წლის გამოცდილებების შეჯამება

	ფიზიკური		ფსიქოლოგიური		სქესობრივი	
	N	%	N	%	N	%
გოგონები N=655	240	36.6	290	44.3	9	1.4
ბიჭები N=645	372	57.7	327	50.7	64	9.9
„X“ კვადრატული მნიშვნელობა	57.705		5.376		44.807	
P მნიშვნელობა*	.000		.020		.000	

*მნიშვნელობის დონე ≤ 0.05

დიაგრამა 1: გასული წლის განმავლობაში გენდერული ტიპების მიხედვით მომხდარი ძალადობის შემთხვევათა შედარება



ყველა შედარებას ბიჭებსა და გოგონებს შორის მაღალი სტატისტიკური მნიშვნელობა გააჩნია; ბიჭებში უფრო მაღალი იყო ფიზიკური ($P=.00$), ფსიქოლოგიური ($P=.02$) და სქესობრივი ($P=.01$) ძალადობის შესახებ ინფორმაციის მონოდების ალბათობა.

ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებული შედეგი შეესაბამება სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების უმეტესობას, ანუ ბიჭები უფრო ხშირად ყვებიან, რომ მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. თუმცა, აღნიშნული შედეგებისაგან განსხვავებით, გოგონების მიერ მათ მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ მონოდებული ინფორმაციის მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია (10).

რეკომენდაცია:


- განხილული უნდა იქნეს იმის მიზეზები, თუ რატომ მონაწილეობენ ბიჭები ძალადობაში უფრო ხშირად და გამოკვლეული იქნეს ბანდებში შესაძლო წევრობასთან კავშირები.
- ფსიქოლოგიური ძალადობა სკოლებში უნდა აღიქმებოდეს ისეთივე მნიშვნელობის მქონედ, როგორც ფიზიკური ძალადობა.

ასაკობრივი ფაქტორის ზეგავლენა იმ შემთხვევებზე, რომელთა შესახებაც განაცხადეს ბავშვებმა, ნაჩვენებია მე-6 ცხრილში და მე-2 დიაგრამაზე.

ცხრილი 6: ბავშვების მიერ მონოდეული ინფორმაცია ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	ფიზიკური		ფსიქოლოგიური		სქესობრივი	
	N	%	N	%	N	%
10-11	287	55.1	132	46.0	12	4.2
12-13	380	52.4	192	50.5	19	5.0
14-15	361	42.1	173	47.9	23	6.4
16-17	272	37.9	120	44.1	19	7.0
R კვადრატი	.018		.000		.002	
P მნიშვნელობა	.000***		.517		.102	
ANOVA(b) * p<0.05, ** p<0.01, *** p<0.001						

დიაგრამა 2: ძალადობის ტიპებთან დაკავშირებული გამოცდილება, ასაკის მიხედვით



ზემოთ მოცემული დიაგრამა და შესაბამისი რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიზიკური ძალადობა კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად ($P=0.00$). ფსიქოლოგიური ძალადობის დონეები ასეთ ტენდენციას არ ავლენს. სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლები იზრდება ასაკთან ერთად, მაგრამ ეს კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. ის შესაძლოა ნაწილობრივ გამოწვეული იყოს სქესობრივი ძალადობის შესახებ ინფორმაციის მონოდეულის დაბალი სიხშირით.

რეკომენდაცია:

- იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით მცირე ასაკის ბავშვები უფრო ხშირად გვანვდიან ინფორმაციას ფიზიკური ძალადობის შესახებ, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს სტრატეგიები რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ადრეული იდენტიფიკაციისა და ინტერვენციისათვის.


განსხვავება ადგილმდებარეობის მიხედვით

ძალადობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით (თბილისი და რეგიონები, ასევე ურბანული ტერიტორიები და სოფლები) შეჯამებულია მე-7 და მე-8 ცხრილებში და ასახულია მე-3 დიაგრამაზე.

ცხრილი 7: ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევების შეჯამება ადგილმდებარეობის მიხედვით (თბილისი/რეგიონები)

	ფიზიკური		ფსიქოლოგიური		სქესობრივი	
	N	%	N	%	N	%
თბილისი N=347	152	43.8	148	42.7	18	5.2
რეგიონები N=953	460	48.3	469	49.2	55	5.8
X კვადრატული მნიშვნელობა	2.035		4.392		.164	
P მნიშვნელობა	.154		.036*		.686	
* P<0.5						

დიაგრამა 3: ძალადობის შემთხვევები ადგილმდებარეობის მიხედვით (თბილისი/რეგიონები)



ცხრილი 8: ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევების შეჯამება ადგილმდებარეობის მიხედვით (სოფლის/ქალაქის ტერიტორიები)

	ფიზიკური		ფსიქოლოგიური		სქესობრივი	
	N	%	N	%	N	%
სულ	612	47.1	617	47.5	73	5.6
ქალაქში N=727	332	45.7	344	47.3	45	6.2
სოფელში N=573	280	48.9	273	47.6	28	4.9
X კვადრატული მნიშვნელობა	1.316		.014		1.027	
P მნიშვნელობა	.251		.907		.311	

თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეთა პასუხების შედეგების შედარებისას არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლებს შორის ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებლებს შორის განსხვავება აღინიშნა.

დობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო რეგიონებში, ვიდრე თბილისში, როგორც ეს ნაჩვენებია მე-7 ცხრილში (P=.036). სოფლის და ქალაქების ტერიტორიებიდან მოსწავლეთა შედარებისას არ არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სქესობრივი ძალადობის აღნიშნულ დონეებს შორის.

რეკომენდაცია:

- აუცილებელია რეგიონალური ვარიანტების მხედველობაში მიღება და რეგიონალურ დონეზე მომსახურების უზრუნველყოფა ძალადობის შესამცირებლად. მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ეროვნული პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავებისას და სკოლებისათვის შემდგომი ხელმძღვანელობის განვიწყისას.

განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (% არის შესადარებელი ჯგუფების დადებითი პასუხებიდან)

საოჯახო ქონების სიის გამოყენების გზით ბავშვები და ახალგაზრდები დაყოფილი იქნენ სამ ჯგუფად ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (მაღალი, საშუალო და დაბალი). მოხდა დაბალი და საშუალო ჯგუფებიდან და საშუალო და მაღალი ჯგუფებიდან ბავშვებისა და ახალგაზრდების შედარება ძალადობის თითოეული ტიპის შესახებ მონოდებული ინფორმაციის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით. გასული წლის პროცენტული მაჩვენებლები და P მნიშვნელობა X კვარტალური ტესტისათვის მოცემულია ქვემოთ, მე-9 ცხრილში.

ცხრილი 9: ძალადობა ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

	ES	%	P მნიშვნელობა	ES	%	P მნიშვნელობა	ES	%	P მნიშვნელობა
ფიზიკური	დაბალი	48.0	.689	საშუალო	44.6	.189	დაბალი	48.0	.737
	საშუალო	44.6		მაღალი	51.5		მაღალი	51.5	
ფსიქოლოგიური	დაბალი	46.6	.872	საშუალო	45.1	.174	დაბალი	46.6	.556
	საშუალო	45.1		მაღალი	52.3		მაღალი	52.3	
სქესობრივი	დაბალი	3.4	.527	საშუალო	5.1	.149	დაბალი	3.4	.113
	საშუალო	5.1		მაღალი	7.4		მაღალი	7.4	

მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე არ შეიძლება სკოლებში ფიზიკური, სქესობრივი თუ ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის პროგნოზირება. ეს არ შეესაბამება სხვა კვლევების შედეგებს, რომლებმაც გვაჩვენა, რომ უფრო დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვებს შორის უფრო მეტი ძალადობა აღინიშნება.

განსხვავებები მშობლებთან ერთად და უმშობლებოდ მცხოვრებ ბავშვებს შორის, ძალადობის ტიპების მიხედვით

სკოლებში ძალადობის მაჩვენებლები, ტიპის მიხედვით, შეფასდა იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ორივე მშობელთან ერთად, ასევე იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ერთი ან ორივე მშობლის გარეშე, ძალადობის ნებისმიერი ტიპის მიხედვით.

ცხრილი 10

	ფიზიკური		ფსიქოლოგიური		სქესობრივი	
	N	%	N	%	N	%
სულ	612	47.1%	617	47.5%	73	5.6%
ორივე მშობელთან N=1083	505	46.6%	511	47.2%	61	5.6%
ერთ-ერთი ან ორივე მშობლის გარეშე N=217	107	49.3%	106	48.8%	12	5.5%
P მნიშვნელობა	.471		.654		.952	

ძალადობის რომელიმე ტიპის მიხედვით არ აღინიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ, და იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ერთი ან ორივე მშობლის გარეშე ცხოვრობენ.

ძალადობის ინიციატორები


ბავშვებს და ახალგაზრდებს დაუსვეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიდინა ძალადობა: სხვა ბავშვმა თუ უფროსმა, თუ ორივემ. ძალადობის ინიციატორები შეფასდნენ ძალადობის ტიპის მიხედვით, იმ ძალადობის საფუძველზე, რაც მოხდა გასული წლის განმავლობაში ან ოდესმე. შედეგები ნაჩვენებია მე-11 ცხრილში და მე-4 დიაგრამაზე.

ცხრილი 11: ინიციატორები გასული წლის განმავლობაში და ოდესმე, ძალადობის ტიპის მიხედვით

	ოდესმე						გასულ წელს					
	ინიციატორი						ინიციატორი					
	უფროსი		ბავშვი		ორივე		უფროსი		ბავშვი		ორივე	
	N	%	N	%	N	%	N	%	N	%	N	%
ფიზიკური ძალადობა	199	24.8	255	31.8	348	26.8	131	21.4	213	34.8	268	43.8
ფსიქ. ძალადობა	197	26.9	198	27.0	338	26.0	164	26.6	142	23.0	311	50.4
სქესობრივი ძალადობა	10	10.5	81	85.3	4	.3	5	6.8	64	87.7	4	5.5

* გამოტოვებულია შეკითხვა 25 – ბულინგი სხვა ბავშვის მიერ, ვინაიდან ამ შეკითხვაზე პასუხების 100%-ში ინიციატორი სხვა ბავშვი იქნება.

დიაგრამა 4: ინიციატორები გასული წლის განმავლობაში, ძალადობის ტიპის მიხედვით



ბავშვებმა და ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სხვა ბავშვები და ახალგაზრდები ყველაზე ხშირად არიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის ინიციატორები. თუმცა ასევე ხშირად აღინიშნებოდა, რომ უფროსი ადამიანებიც არიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ინიციატორები.

რეკომენდაციები:

- სკოლებში ძალადობის პრევენციის პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც სკოლაში მოღვაწე ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი თამაშობს როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობის ინიციატორი.
- უფროსების მიერ ჩადენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განსაკუთრებულად უნდა იყოს აკრძალული.
- სკოლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა გაიაროს ტრენინგი ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის გარეშე ქცევის საკითხებში, ასევე იმაში, თუ როგორ შეიძლება გახდნენ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სამაგალითო პირები, რომლებიც ნებისმიერ დროს არაძალადობრივ ქცევას მიმართავენ.
- მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის შემცირების სასკოლო პოლიტიკამ და სტრატეგიამ მოიცვას ტრენინგი სკოლის ყველა თანამშრომლისთვის და შექმნას ქცევის კოდექსში მათ მიმართ მოლოდინის ისეთი სტანდარტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ეხება.

ძალადობის დეტალები

ძალადობის თითოეული კონკრეტული ტიპის შემთხვევათა სიხშირე გამოანგარიშებული იქნა როგორც „გასული წლის განმავლობაში“, ასევე „ოდესმე“. მოხდა ინიციატორთა იდენტიფიცირება ძალადობის თითოეული ტიპისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მაჩვენებლები „ოდესმეს“ შემთხვევაში უფრო მაღალი იყო ძალადობის თითოეული ტიპისათვის, ვინაიდან ისინი გასულ წელსაც მოიცავდნენ. მაგრამ ძალადობრივი ქცევის ტიპების ზოგადი ტენდენცია, მათი სიხშირე და ინიციატორები არსებითად თანმიმდევრულია და, შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია შედეგები გასულ წელიწადზე კონცენტრირებული. ძალადობის ტიპები ნაჩვენებია სიხშირის დალმავალი თანმიმდევრობით. ცხრილები ასევე გვიჩვენებს ინიციატორებს ძალადობის კონკრეტული ტიპის მიხედვით.

ფიზიკური ძალადობა

მე-12 ცხრილში მოცემულია გასული წლის განმავლობაში ჩადენილი ფიზიკური ძალადობის იმ შემთხვევათა დეტალები, რომელთა შესახებაც ბავშვებმა მოგვანოდეს ინფორმაცია; ბავშვებმა ძალადობის ინიციატორებიც მიუთითეს.

ცხრილი 12: გასულ წელს მომხდარი ფიზიკური ძალადობის ქმედებათა დეტალები, მათი ინიციატორების შესახებ ინფორმაციის მითითებით

ფიზიკური ძალადობა	გასულ წელს		ინიციატორი					
	N	%	უფროსი		ბავშვი		ორივე	
	N	%	N	%	N	%	N	%
ხელზე ან მკლავზე დაგარტყათ კ13	267	20.5	37	13.9	211	79.0	19	7.1
ყური აგინიათ კ14	226	17.4	191	84.5	25	11.1	10	4.4
თმა მოგწინკნათ კ15	223	17.2	127	57.0	76	34.1	20	9.0
რაიმე გატკინათ q11	171	13.2	16	9.4	148	86.5	7	4.1
თავზე ან სახეში გაგარტყათ კ12	134	10.3	39	29.1	91	67.9	4	3.0
ხელი გკრათ კ18	123	9.5	4	3.3	115	93.5	4	3.3
რამე საგანი გესროლათ კ16	112	8.6	10	8.9	98	87.5	4	3.6
დაგარტყათ კ17	109	8.4	4	3.7	104	95.4	1	.9
თითები მოგამტვრიათ კ19	83	6.4	6	7.2	75	90.4	2	2.4
გარეთ დაგტოვათ სიცივეში ან ცხელ წყალში კ22	32	2.5	29	90.6	3	9.4	.	.
ფეხზე დაგაყენათ/დაგაჩოქათ დასჯის მიზნით კ21	30	2.3	27	90.0	2	6.7	1	3.3
რაიმე საშიში დაგაძალათ კ26	26	2.0	10	38.5	16	61.5	.	.
ნაგართვათ საჭმელი კ25	14	1.1	3	21.4	11	78.6	.	.
გახრჩობდათ კ27	14	1.1	.	.	13	92.9	1	7.1
დაგჭრათ ბასრი საგნით კ29	6	0.5	1	16.7	5	83.3	.	.
დაგაბათ კ28	5	0,4	.	.	5	100.0	.	.
პირში წინაკა ან საპონი გამოგავლებინათ კ20	4	0,3	1	25.0	3	75.0	.	.
ცივ ან ცხელ წყალში ჩაგსვათ კ24	2	0,2	.	.	2	100.0	.	.
დაგწვათ კ23	0	0,0

გასული წლის განმავლობაში, ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ მონოდეზული ინფორმაციის შესაბამისად, ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა ხელზე ან მკლავზე დარტყმის, ყურის აწევის, თმაზე მოქაჩვის, ტკივილის მიყენებისა და თავზე ან სახეზე დარტყმის შემთხვევებს. ინფორმაციის თანახმად, ნაკლებად გავრცელებული იყო ფიზიკური ძალადობის მძიმე ფორმები (თითების მტვრევა, დაჭრა, გაგუდვა, დაწვა).

სკოლებში მომუშავე უფროსები, ჩვეულებრივ, იყენებდნენ დასჯის ისეთ მეთოდებს, როგორცაა: ყურის აწევა (88.9% 226-დან) და თმის მოქაჩვა (56.0% 223-დან).

სხვა ძალადობრივი ქმედებების ინიციატორები ძირითადად ბავშვები იყვნენ: ხელზე ან მკლავზე დარტყმა (86.1% 267-დან); ტკივილის მიყენება (90.6% 171-დან); ხელის კვრა (96.8% 123-დან); ხელის გარტყმა (96.3% 109-დან); თითების მტვრევა (92.8% 83-დან); თავზე ან სახეზე დარტყმა (70.9% 134-დან); ძალის დატანება რაიმე საშიშის გაკეთების მიზნით (61.5% 26-დან).

რეკომენდაცია:

- უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მოგვცემს ბავშვების მიერ ინფორმაციის მონოდებისა და მასწავლებლებისა და სკოლებში მომუშავე სხვა უფროსების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების გამოძიების საშუალებას.

ფსიქოლოგიური ძალადობა

მე-13 ცხრილში მოცემულია „გასული წლის განმავლობაში“ კონკრეტული ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების სიხშირე, დაღმავალი თანმიმდევრობით და ინიციატორების მიხედვით.

ცხრილი 13: გასულ წელს ფსიქოლოგიური ძალადობის ქმედებათა დეტალები, ინიციატორების მითითებით

ფსიქოლოგიური ძალადობა	გასულ წელს		ინიციატორი					
	N	%	უფროსი		ბავშვი		ორივე	
	N	%	N	%	N	%	N	%
გიყვირათ კ32	262	20.2	162	61.8	70	26.7	30	11.5
შეგაგინათ კ30	236	18.2	126	53.4	80	33.9	30	12.7
ცუდი ნიშნებით დაგემუქრათ კ41	232	17.8	217	93.5	11	4.7	4	1.7
უხამს და სანყენ სახელებს გეძახდათ კ33	197	15.2	33	16.8	141	71.6	23	11.7
შეურაცხყოფა მოგაყენათ კ31	178	13.7	50	28.1	97	54.5	31	17.4
თავი სულელად გაგრძნობინათ კ34	145	11.2	79	54.5	56	38.6	10	6.9
გპარავდათ ან გიფუჭებდათ ნივთებს კ40	137	10.5	7	5.1	123	89.8	7	5.1
იზოლაციაში მოგაქციათ კ37	64	4.9	20	31.3	41	64.1	3	4.7
დაგამცირათ რაიმე ნიშნის გამო (სქესი, ეროვნება და სხვ.) კ35	34	2.6	4	11.8	28	82.4	2	5.9
დაგამცირათ ჯანმრთელობის პრობლემის გამო კ36	26	2.0	12	46.2	14	53.8	.	.
დაგამცირათ, რადგან ღარიბი ხართ კ39	22	1.7	1	4.5	19	86.4	2	9.1
დაგამცირათ, რადგან ობოლი ხართ კ38	3	0.2	.	.	3	100.0	.	.

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ტიპებია ყვირილი, გინება, ცუდი ნიშნებით დაშინება, ცუდი მეტსახელების დაძახება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, სულელად გამოყვანა, პირადი ნივთების მოპარვა. უფროსების მიერ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპური ქმედებებია ყვირილი (73.3% 262-დან); გინება (66.1% 236-დან) და ცუდი ნიშნებით დაშინება (95.2% 232-დან).

ინიციატორებად სხვა ბავშვებს უფრო ხშირად ისეთი ქმედებებისათვის ასახელებენ, როგორცაა ცუდი მეტსახელების დაძახება (83.3% 197-დან); პირადი ნივთების მოპარვა (94.9% 137-დან) და იზოლაციაში მოქცევა (68.8% 64-დან).

რეკომენდაციები

- ძალადობის პრევენციის პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებელი პირების მიერ ფსიქოლოგიური ძალადობა ისევე სერიოზულად უნდა აღიქმებოდეს, როგორც ფიზიკური ძალადობა.
- როგორც უფროსები, ასევე ბავშვები სკოლებში უფრო გათვითცნობიერებულნი უნდა იყვნენ ფსიქოლოგიური ძალადობის ზეგავლენასთან დაკავშირებით.

სქესობრივი ძალადობა

მე-14 ცხრილი გვიჩვენებს გასული წლის განმავლობაში სქესობრივი ძალადობის სხვადასხვა ფორმის შემთხვევათა სიხშირეს, სიხშირის დალმავალი თანმიმდევრობით და ინიციატორთა მიხედვით.

ცხრილი 14: გასულ წელს სქესობრივი ძალადობის ქმედებათა დეტალები, ინიციატორთა მიხედვით

სქესობრივი ძალადობა	გასულ წელს		ინიციატორი					
	N	%	უფროსი		ბავშვი		ორივე	
	N	%	N	%	N	%	N	%
გაჩვენათ პორნოგრაფია კ43	59	4.5	4	6.8	52	88.1	3	5.1
ძალით გაკოცათ კ51	11	0.8	2	18.2	9	81.8	.	.
სექსუალურად შეგებოთ კ42	8	0.6	1	12.5	7	87.5	.	.
ტანსაცმელი გახდა კ45	4	0.3	.	.	4	100.0	.	.
გაიძულათ ტანსაცმლის გახდა კ44	3	0.2	1	33.3	2	66.7	.	.
გაიძულათ, ხელი მოგეკიდებინათ მის სასირცხვო ადგილებზე კ47	1	0.1	.	.	1	100.0	.	.
ძალით შეგებოთ სასირცხვო ადგილებზე კ48	1	0.1	.	.	1	100.0	.	.
ჩაგრთოთ პორნოგრაფიის დამზადებაში კ50	1	0.1	.	.	1	100.0	.	.
გაიძულათ სქესობრივ კავშირზე კ46	0	0.0
ფული მოგცათ სექსუალური ხასიათის რალაცეებისთვის კ49	0	0.0

სქესობრივი ძალადობის ყველა ტიპის ინიციატორთა უდიდესი უმრავლესობა იყვნენ ბავშვები და ახალგაზრდები. ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო პორნოგრაფიის ჩვენება (4.5%) და არასასურველი კოცნა (0.8%). იშვიათად აღინიშნებოდა ხელით სექსუალურად შეხება, ტანსაცმლის გახდა და პორნოგრაფიის დამზადებაში ჩართვა. ინფორმაცია უფროსი ადამიანების როგორც სქესობრივი ძალადობის ინიციატორების შესახებ უაღრესად იშვიათია.

ოჯახში, სკოლაში და სპეციალურ დაწესებულებებში განხორციელებული ძალადობის შედარება

საქართველოში ბავშვებზე ძალადობის სრული კვლევის სხვა ნაწილების მონაცემთა გამოყენების გზით ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ბავშვებზე ძალადობის მაჩვენებლები ოჯახში, სკოლაში და სპეციალურ დაწესებულებებში. ქვემოთ, ცხრილსა და დიაგრამაში, მოცემულია ასეთი შედარება, ძალადობის ტიპის მიხედვით.

სხვადასხვა პირობებში განხორციელებული ძალადობის შედარება

საქართველოში ბავშვებზე ძალადობის სრული კვლევის სხვა ნაწილების მონაცემთა გამოყენების გზით შესაძლებელია შედარდეს ბავშვთა მიერ აღნიშნული ძალადობის შემთხვევათა დონეები ოჯახურ, სასკოლო და ინსტიტუციურ გარემოში. ქვემოთ, ცხრილში და დიაგრამაზე, მოცემულია ასეთი შედარება, ძალადობის ტიპის მიხედვით.

ცხრილი 15: ოჯახში, სკოლაში და სპეციალურ დაწესებულებებში განხორციელებული ძალადობის დონეების შედარება, ტიპების მიხედვით

	ოჯახი (საზოგადოება) (N=1050)	სკოლა (N=1300)	P მნიშვნელობა
ფიზიკური	54.0%	47.1%	0.0009***
ფსიქოლოგიური	59.1%	47.5%	0.0001***
სქესობრივი	7.8%	5.6%	0.0550
	დაწესებულებები (N=301)	სკოლები (N=1300)	P მნიშვნელობა
ფიზიკური	71.1%	47.1%	0.0001***
ფსიქოლოგიური	61.5%	47.5%	0.0001***
სქესობრივი	16.6%	5.6%	0.0001***


სკოლებისა და სპეციალური დაწესებულებების შედარებისას ყველა ტიპის ძალადობის აღნიშნული შემთხვევების დონე მნიშვნელოვნად უფრო მაღალია დაწესებულებებში მყოფი ბავშვებისათვის ($P < 0.0001$). ბავშვები და ახალგაზრდები საქართველოში უფრო მეტ ფიზიკურ ძალადობასა და სქესობრივ შეურაცხყოფას განიცდიან ინტერნატის ტიპის დაწესებულებებში, ვიდრე ოჯახში ან სკოლაში. ისინი ასევე უფრო მეტ ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან დაწესებულებებში, ვიდრე სკოლებში.

მნიშვნელოვნად მეტი ბავშვი აღნიშნავს ფიზიკურ ძალადობას ოჯახში, ვიდრე სკოლაში ($P = 0.0009$). ეს ეხება ფსიქოლოგიურ ძალადობასაც ($P = 0.0001$). მიღებული ინფორმაციის თანახმად, სქესობრივი შეურაცხყოფის შემთხვევების სიხშირე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან ოჯახისა და სკოლის გარემოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში არსებული ძალადობა საქართველოში ბავშვთა მიერ განცდილი ძალადობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ბავშვები ძალადობის უფრო მაღალ დონეებს აღნიშნავენ ოჯახში და ინტერნატის ტიპის სპეციალურ დაწესებულებებში.

მიღებული შედეგები შეესაბამება სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგებს და მიუთითებს, რომ სკოლა, ჩვეულებრივ, უფრო უსაფრთხო ადგილია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ვიდრე სხვა ადგილები საზოგადოების ფარგლებში. არ არსებობს მიზეზი ზედმეტი თვითკმარყოფილებისათვის, მაგრამ სკოლები ამისათვის გარკვეულ დადებით შეფასებას იმსახურებენ.

დიაგრამა 5: ოჯახში, სკოლაში და სპეციალურ დაწესებულებებში განხორციელებული ძალადობის დონეების შედარება, ტიპების მიხედვით



ეს შედეგები კიდევ ერთი დასაბუთებაა იმ მნიშვნელოვანი იდეისა, რომ სკოლებმა ოჯახებთან უნდა ითანამშრომლონ, რათა შემცირდეს ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ და მათ შორის. ზოგიერთ ბავშვს, ვინც სახლში ან სპეციალურ დაწესებულებაში ძალადობის რისკის ქვეშ იმყოფება, სკოლა უსაფრთხო ადგილად მოეჩვენება. ეს ნიშნავს, რომ მათ ექნებათ მცდელობა, გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და შიში უფროსებს სასკოლო გარემოში.

რეკომენდაცია:

- ძალადობის შემცირება სკოლებში უნდა აღიქმებოდეს როგორც ერთ-ერთი ასპექტი უფრო ზოგადი მისწრაფებისა, შემცირდეს ძალადობა ბავშვთა მიმართ და მათ შორის;
- მშობლები ჩართულნი უნდა იყვნენ ნებისმიერ პარტნიორობაში, რომელიც ჩამოყალიბდება ძალადობის შემცირების მიზნით;
- საჭიროა, რომ სკოლის თანამშრომლებს გააჩნდეთ სურვილი და უნარი, მოახდინონ რეაგირება, როდესაც ბავშვები გაუმხელენ მათ საკუთარ გამოცდილებას ოჯახში და სხვა გარემოში არსებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით.


საერთაშორისო კონტექსტი

იმისათვის, რომ ამ კვლევის შედეგები სკოლებში ძალადობის შესახებ გლობალური კვლევის კონტექსტში ჩავსვათ, ჩვენ შევიმუშავეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია გასულ წელს მომხდარი ძალადობის დონეები, ტიპის მიხედვით, იმ ოთხ სკოლაში, სადაც ჩატარდა ICASI CI საცდელი კვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მცირე მასშტაბის კვლევები სკოლის მოსწავლეთა შერჩევების გამოყენებით.

დიაგრამა 6: საერთაშორისო შედარება (თითოეულ ქვეყანაში იმ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ სკოლებში ძალადობის შემთხვევებს)

A N = 110; B N = 122; C N = 111; D N = 122

სკოლებში ძალადობის შედარება საერთაშორისო მასშტაბით



ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ სკოლებში აღნიშნული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის დონეები ანალოგიურია საცდელი კვლევების შედეგად დაფიქსირებული დონეებისა, ხოლო სქესობრივი ძალადობის აღნიშნული დონეები გარკვეულწილად უფრო დაბალია. საცდელი კვლევები გაიმართა ისლანდიაში, ინდოეთში, კოლუმბიასა და რუსეთში. ცხრილში ქვეყნები არ არის მითითებული, რათა თავიდან იქნეს აც-

იღებულის მცდარი შთაბეჭდილების შემქმნელი შედარება ცალკეულ ქვეყნებს შორის, მცირე მასშტაბის და არანარმოდგენლობითი შერჩევის გათვალისწინებით.

სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული კითხვარიდან მიღებული შედეგები

შეკითხვები დაჯგუფებული იყო შემდეგ ბლოკებად: დამოკიდებულება სკოლის მიმართ, ურთიერთობები მოსწავლეთა შორის, მასწავლებელთა მხრიდან მოპყრობა და მშობელთა პოზიცია. გარდა ამისა, შეკითხვების ორი დამატებითი ბლოკი შეისწავლიდა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ბუღინგის სიხშირის შეფასებას, ადგილისა და დროის მიხედვით.

დამოკიდებულება სკოლის მიმართ

ყველა შეკითხვა, რომელიც ეხებოდა დამოკიდებულებას, ფორმულირებული იყო პოზიტიური ფორმით, გარდა სამი შეკითხვისა პირველ ბლოკში, რომლებიც ნეგატიური ფორმით იყო დასმული: „მოსწავლეებს ამ სკოლაში ძალიან მკაცრად/უხეშად ექცევიან“; „სკოლაში არსებობს ბევრი რამ, რაც მე არ მომწონს“; „ნეტა სკოლაში წასვლა არ იყოს აუცილებელი“. იმისათვის, რომ გამოგვეანგარიშებინა აღნიშნული ბლოკის საშუალო არითმეტიკული, ჩვენ ამ შეკითხვების ხელახალი კოდირება მოვახდინეთ. აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი საშუალო არითმეტიკული თითოეულ ბლოკში მოცემულ სფეროში უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებას ასახავს.

მე-16 ცხრილი გვიჩვენებს ბავშვებისა და ახალგაზრდების პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომლებიც შემუშავებულია სკოლისადმი მათი დამოკიდებულების შესაფასებლად. საშუალო ქულები პოზიტიურად გამოხატულ საკითხებზე ძირითადად მაღალი იყო და ასახავდა სკოლის მიმართ ამ პოზიტიურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით თანხმობის მაღალ დონეს. ამისგან განსხვავებით, უარყოფითი ფორმით დასმულ შეკითხვებზე პასუხები ხშირად ნეიტრალური ან დადებითი იყო, რაც სკოლისადმი ნაკლებად პოზიტიურ დამოკიდებულებას ასახავდა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთლიანი სურათი პოზიტიურია.

ცხრილი 16: ბავშვების დამოკიდებულება სკოლის მიმართ

	საშუალო*
დამოკიდებულებები სკოლის მიმართ	3.6
მოსწავლეებს ამ სკოლაში ძალიან მკაცრად/უხეშად ექცევიან	3.62 (ხელახალი კოდირების შემდეგ 2.38**)
ამ სკოლაში არსებული წესები სამართლიანია	4.03
ჩვენი სკოლა ძალიან კარგი ადგილია	4.23
ვგრძნობ, რომ მე ამ სკოლას ვეკუთვნი	4.20
ამ სკოლაში უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს	4.21
სკოლაში წასვლას მოუთმენლად ველი	4.08
სკოლაში ყოფნა მიყვარს	4.16
სკოლაში არის ბევრი ისეთი რამ, რაც არ მომწონს	3.29 (ხელახალი კოდირების შემდეგ 2.71**)
ნეტა სკოლაში წასვლა არ იყოს აუცილებელი	3.98 (ხელახალი კოდირების შემდეგ 2.02**)

*5 აბსოლუტურად ვეთანხმები, 4 ვეთანხმები, 3 არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები, 2 არ ვეთანხმები, 1 სრულებით არ ვეთანხმები

** საშუალო არითმეტიკულების გამოანგარიშების მიზნით ნეგატიური მნიშვნელობის მქონე შეკითხვები პირიქით იყო კოდირებული.

ურთიერთობები მოსწავლეთა შორის

მე-17 ცხრილი გვიჩვენებს იმ პირველ სამ შეკითხვაზე პასუხების შედეგებს, რომლებიც მოსწავლეებს დაუსვეს ერთმანეთში არსებული ურთიერთობის შესახებ.

ცხრილი 17: ურთიერთობები მოსწავლეთა შორის

	საშუალოები
ურთიერთობები მოსწავლეებს შორის	4.4
ჩემს კლასში მოსწავლეებს ერთად ყოფნა მოსწონთ	4.40
ჩემს კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა კეთილია და მეხმარება ხოლმე	4.37
როცა ჩემს კლასში რომელიმე მოსწავლე ცუდად გრძნობს თავს, რომელიმე თანაკლასელი ცდილობს დაეხმაროს ხოლმე	4.32

ბავშვები ძირითადად ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობებს სხვა მოსწავლეებთან, რაც მიუთითებს სასიამოვნო, ხელშემწყობი და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს არსებობაზე.

მასწავლებელთა მიერ მოპყრობა

შეკითხვების შემდეგი ბლოკი არკვევდა მოსწავლეების დამოკიდებულებას და შეგრძნებებს იმის მიმართ, თუ როგორ ეპყრობიან მათ მასწავლებლები.

ცხრილი 18: მასწავლებელთა მიერ მოპყრობა

	საშუალოები
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	4.0
კლასში მახალისებენ, რომ საკუთარი შეხედულებები გამოვთქვა	3.93
ჩვენი მასწავლებლები სამართლიანად გვეპყრობიან	4.08
როცა დამატებითი დახმარება მჭირდება, შემიძლია ეს დახმარება მივიღო	4.11
ჩემს მასწავლებლებს ვაინტერესებ როგორც პიროვნება	3.66
მასწავლებლების უმრავლესობა მეგობრულია	4.09

მოსწავლეთა პასუხების თანახმად, მასწავლებლები მათ ძირითადად კარგად ეპყრობიან და მხარს უჭერენ, თუმცა ბავშვებმა აღნიშნეს მეტი ყურადღება და პატივისცემა სხვა მოსწავლეთა მხრიდან, ვიდრე მასწავლებელთა მხრიდან.

მშობელთა პოზიცია

სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული შეკითხვების ბოლო ბლოკი ეხებოდა მოსწავლეთა აზრს და შეხედულებას მათი მშობლების ჩართულობისა და სასკოლო საქმიანობის მხარდაჭერის თაობაზე.

ცხრილი 19: მშობელთა პოზიცია

	საშუალოები
მშობლების პოზიცია	4.3
თუ სკოლაში პრობლემა მაქვს, ჩემი მშობლები მზად არიან დასახმარებლად	4.41
ჩემს მშობლებს სურთ, მოვიდნენ სკოლაში და მასწავლებლებს გაესაუბრონ	4.25
ჩემი მშობლები მომიწოდებენ, რომ უკეთ ვისწავლო სკოლაში	4.48
ჩემს მშობლებს აინტერესებთ, რა ხდება ჩემს თავს სკოლაში	4.37
ჩემს მშობლებს სურთ ხოლმე, დამეხმარონ საშინაო დავალების მომზადებაში	3.90

მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ მშობლებს დაინტერესების, ჩართულობისა და მონდომების მაღალი დონე გააჩნიათ სკოლასთან, მასწავლებლებსა და ბავშვთა განათლებასთან დაკავშირებით დახმარების განვიც კუთხით.

რეკომენდაცია

- ის ადამიანები, ვინც სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკასა და სტრატეგიებს ახორციელებს, პროაქტიული უნდა იყვნენ და უნდა მოიზიდონ მშობლები მათი მონაწილეობის წასახალისებლად.

ცხრილი 20: ბავშვების სხვადასხვა დამოკიდებულების შეჯამება

ბავშვების სხვადასხვა დამოკიდებულება	საშუალოები
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	3.6
ურთიერთობები მოსწავლეებს შორის	4.4
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	4.0
მშობლების პოზიცია	4.3

ბავშვთა დამოკიდებულება სკოლასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ პოზიტიური იყო. ქულების ყველაზე დაბალი აღნიშნული რაოდენობა ეხება სკოლის მიმართ დამოკიდებულებას, რაც მეტწილად გამომწვეულია სამი ნეგატიურად ფორმულირებული შეკითხვით. ძირითადი ტენდენცია იყო ის, რომ ბავშვები და ახალგაზრდები ეთანხმებოდნენ აღნიშნული შეკითხვების ნეგატიურ თუ პოზიტიურ შინაარსს.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში საქართველოს სკოლებში განვითარდეს ეს ძლიერი მხარეები. აღიარებული უნდა იყოს სკოლების წარმატება ამ პოზიტიური დამოკიდებულების ხელშეწყობაში.

რეკომენდაციები

- სკოლებში არსებულმა პოზიტიურმა დამოკიდებულებამ უნდა შექმნას საფუძველი ძალადობის შემცირების ნებისმიერი პოლიტიკისა და სტრატეგიისათვის.

ბავშვთა დამოკიდებულების ბივარიანტული ანალიზი

21-ე ცხრილი გვიჩვენებს ბავშვთა დამოკიდებულებებს გენდერის მიხედვით და ადარებს საშუალო არითმეტიკულს T-ტესტის გამოყენებით.

ცხრილი 21: ბავშვთა დამოკიდებულებების შედარება, გენდერის მიხედვით (T-ტესტი)

ბავშვების დამოკიდებულება	სქესი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	გოგონები	655	3.565	.3276	.373
	ბიჭები	645	3.549	.3484	
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	გოგონები	655	4.341	.6412	.227
	ბიჭები	645	4.383	.6122	
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	გოგონები	655	3.997	.6031	.177
	ბიჭები	645	3.951	.6214	
მშობლების პოზიცია	გოგონები	655	4.312	.5349	.048*
	ბიჭები	645	4.251	.5666	

* P<0.05

გოგონებმა უფრო დადებითად შეაფასეს მშობელთა მზაობა სასკოლო პრობლემებთან დაკავშირებით დახმარებისა და მხარდაჭერის განცემის კუთხით (P=.048). დამოკიდებულების სხვა საზომებში არ არსებობდა განსხვავებები გენდერის მიხედვით.

22-ე ცხრილი იყენებს მოცემულ ასაკობრივ ჯგუფებს, რათა მოახდინოს იმ განსხვავებათა დემონსტრირება, რაც არსებობს დამოკიდებულებების საშუალოებში, სკალის მიხედვით. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფები წრფივ რეგრესიაში უფუნქციო ცვლადებად იქნა შეყვანილი.

ცხრილი 22. ასაკის პროგნოზირებასთან დაკავშირებული რეგრესიული მოდელების შედარება

ბავშვების მიდგომები	ასაკი	საშუალო	R კვადრატი	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	10-11	3.570	.000	.956
	12-13	3.546		
	14-15	3.547		
	16-17	3.572		
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	10-11	4.364	.000	.682
	12-13	4.348		
	14-15	4.362		
	16-17	4.381		
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	10-11	4.017	.002	.139
	12-13	4.001		
	14-15	3.914		
	16-17	3.974		
მშობლების პოზიცია	10-11	4.374	.016	.000***
	12-13	4.323		
	14-15	4.238		
	16-17	4.186		

*** P<0.001

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მხოლოდ მშობლების პოზიციის შეფასება ასაკზე დამოკიდებული ($p=.000$). უფროსი ასაკის ბავშვებში მონაცემებმა აჩვენა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი თავიანთ სკოლებსა და განათლებაში, ვიდრე უმცროსი ასაკის ბავშვები.

23-ე ცხრილში შედარებულია განსხვავებები თბილისსა და სხვა რეგიონებში არსებულ დამოკიდებულებებს შორის, ხოლო 24-ე ცხრილში შედარებულია განსხვავებები სოფლად და ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა დამოკიდებულებებს შორის.

ცხრილი 23. ბავშვების დამოკიდებულებების შედარება ადგილმდებარეობის მიხედვით – თბილისი – რეგიონი (T-ტესტი)

ბავშვების დამოკიდებულებები	ადგილ-მდებარეობა	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	თბილისი	347	3.499	.3375	.000***
	რეგიონები	953	3.578	.3360	
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	თბილისი	347	4.266	.6187	.001***
	რეგიონები	953	4.397	.6268	
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	თბილისი	347	3.920	.6386	.005**
	რეგიონები	953	3.994	.6018	
მშობლების პოზიცია	თბილისი	347	4.276	.5205	.809
	რეგიონები	953	4.284	.5626	

** P<0.01 *** P<0.001

თბილისის გარეთ მდებარე რეგიონებში ბავშვები და ახალგაზრდები უფრო დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ სკოლის მიმართ ($p=.000$), უფრო დადებითაა მოსწავლეებს შორის დამოკიდებულების შეფასება ($p=.001$), აღინიშნება უკეთესი მოპყრობა მასწავლებლების მხრიდან ($p=.005$). მშობლების პოზიციის მიმართ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის არ გამოვლენილა.

ცხრილი 24: ბავშვების დამოკიდებულებების შედარება ადგილმდებარეობის მიხედვით – ქალაქი – სოფელი (T-ტესტი)

ბავშვების დამოკიდებულება	ქალაქი-სოფელი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	ქალაქი	727	3.545	.3567	.140
	სოფელი	573	3.572	.3126	
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	ქალაქი	727	4.350	.6544	.414
	სოფელი	573	4.378	.5908	
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	ქალაქი	727	3.971	.6444	.808
	სოფელი	573	3.979	.5699	
მშობლების პოზიცია	ქალაქი	727	4.317	.5459	.009**
	სოფელი	573	4.237	.5557	

**P<0.01

ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის შედარებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება მშობლების პოზიციების შეფასებებს შორის. ქალაქის სკოლებში ბავშვები და ახალგაზრდები უფრო დადებითად აფასებდნენ მშობლების მზადყოფნას, დახმარება

გაენიათ მათთვის სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებში ($p=.009$). ქალაქის/სოფლის ნიშნით ამ დამოკიდებულების კუთხით სხვა სახის მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

25-ე ცხრილში მოცემულია დამოკიდებულებების ორი შედარება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. ბავშვები მიეკუთვნენ დაბალ, საშუალო ან მაღალ ეკონომიკურ კლასს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. თითოეული დამოკიდებულების სკალისათვის აღნიშნული ჯგუფების ორმაგი შედარება მოცემულია საშუალოებისა და T-ტესტების საშუალებით.

ცხრილი 25. განსხვავებები ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (ეკ.სტ)

	ეკ.სტ	საშუალო	P მნიშვნელობა	ეკ.სტ	საშუალო	P მნიშვნელობა	ეკ.სტ	საშუალო	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	დაბალი საშუალო	3.57 3.56	.619	დაბალი მაღალი	3.57 3.55	.471	საშუალო მაღალი	3.56 3.55	.700
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	დაბალი საშუალო	4.38 4.36	.647	დაბალი მაღალი	4.38 4.37	.803	საშუალო მაღალი	4.36 4.37	.792
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	დაბალი საშუალო	3.98 3.99	.894	დაბალი მაღალი	3.98 3.95	.650	საშუალო მაღალი	3.99 3.95	.345
მშობლების პოზიცია	დაბალი საშუალო	4.25 4.29	.538	დაბალი მაღალი	4.25 4.29	.532	საშუალო მაღალი	4.29 4.29	.943

დაბალი N=148, საშუალო N=762, მაღალი N=390

არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ბავშვების მიერ შეფასებისას. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დაბალი, საშუალო და მაღალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ერთნაირ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ.

ვინაიდან ორი მშობლისაგან შემდგარ ოჯახს შეუძლია უფრო მრავლისმიმცემი და სტაბილური გარემო შექმნას და გამოათავისუფლოს მოსწავლეები იმისათვის, რომ მეტი კონცენტრირება მოახდინონ სკოლაზე და თანატოლებთან ურთიერთობებზე, ჩვენი შემდეგი ნაბიჯი იყო ერთ და ორმშობლიანი ოჯახების მიხედვით თითოეული დამოკიდებულების სკალის შედარება. შედეგები (ცხრილი 26) მოიცავს საშუალოს და T-ტესტს აღნიშნული შედარებებისათვის.

ცხრილი 26 ბავშვების დამოკიდებულებების შედარება იმის მიხედვით, მშობლებთან ცხოვრობენ თუ მათ გარეშე

ბავშვების დამოკიდებულება	მშობლების გარეშე – მშობლებთან	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	P მნიშვნელობა
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს	217	3.521	.3298	.078
	ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს	1083	3.564	.3394	
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს	217	4.355	.6562	.853
	ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს	1083	4.364	.6214	
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს	217	3.961	.6380	.737
	ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს	1083	3.977	.6075	
მშობლების პოზიცია	უდედოდ ან/და უმამოდ ცხოვრობს	217	4.184	.6188	.010**
	ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს	1083	4.302	.5351	

** P<0.01

გასაკვირი არ არის, რომ ორივე მშობელთან ერთად მცხოვრებმა ბავშვებმა მშობლების მხრიდან უფრო მეტი მხარდაჭერა და დახმარება აღნიშნეს ($p=.01$). გამოვლინდა ტენდენცია, რომ მათ უფრო დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ სკოლის მიმართ ($p=.078$, უმნიშვნელო).

კორელაციური ანალიზი

კორელაციური ანალიზი (ცხრილი 27) აჩვენებს, რომ სკოლის მიმართ დამოკიდებულების ოთხი სკალა მჭიდროდ არის დაკავშირებული. ბავშვების მიერ იმ დამოკიდებულების შეფასება, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის კლიმატზე, თანმიმდევრულია, გაზომვის შესაბამისად.

ცხრილი 27. პირსონის კორელაცია (r) დამოკიდებულებებს შორის

ბავშვების დამოკიდებულებები	დამოკიდებულება სკოლის მიმართ	ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	მოპყრობა მასწავლებლების მიერ	მშობლების პოზიცია
დამოკიდებულება სკოლის მიმართ	1	.363(**)	.455(**)	.298(**)
ურთიერთობა მოსწავლეებს შორის	.363(**)	1	.495(**)	.426(**)
მოპყრობა მასწავლებლების მიერ	.455(**)	.495(**)	1	.443(**)
მშობლების პოზიცია	.298(**)	.426(**)	.443(**)	1

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (2-ნიმით).

რეკომენდაცია:

- სკოლაში უსაფრთხო, ყველა ბავშვისათვის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად სკოლებში უნდა განვითარდეს შესაძლებლობა, გამოავლინონ კონკრეტული სიტუაციები საკუთარ გარემოში და შეიმუშაონ ღონისძიებები, რომლებიც მათ კონკრეტულ პირობებში ყველაზე ეფექტურად შეამცირებს ძალადობას.

ბულინგის დრო და ადგილი

მოსწავლეებს სთხოვეს, ქულების საშუალებით შეეფასებინათ ბულინგის სიხშირე ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული სიხშირე მოცემულია 28-ე ცხრილში.

ცხრილი 28. ბულინგის ადგილები - სიხშირე

ბულინგის ადგილები	ბევრჯერ კვირაში		ყოველ კვირას		ერთხელ ან ორჯერ		არასოდეს		არ შეესაბამება	
	N	%	N	%	N	%	N	%	N	%
სკოლის ეზო	147	11.3	90	6.9	341	26.2	587	45.2	135	10.4
სკოლასთან ახლოს მდებარე ხეებით დაფარული ადგილი	101	7.8	69	5.3	182	14.0	716	55.1	232	17.8
დერეფნები	95	7.3	95	7.3	308	23.7	661	50.8	141	10.8
სკოლისაკენ ან სკოლიდან მომავალი გზა	86	6.6	101	7.8	310	23.8	598	46.0	205	15.8
სპორტული დარბაზი	57	4.4	65	5.0	225	17.3	797	61.3	156	12.0
სკოლის ტუალეტი	49	3.8	34	2.6	104	8.0	868	66.8	245	18.8
საკლასო ოთახი	38	2.9	61	4.7	253	19.5	792	60.9	156	12.0
სასადილო	14	1.1	40	3.1	57	4.4	1037	79.8	152	11.7
კომპიუტერის ოთახები	5	.4	26	2.0	29	2.2	1049	80.7	191	14.7
ბიბლიოთეკა	3	.2	14	1.1	15	1.2	1104	84.9	164	12.6

ზოგადად, ბულინგი ხდება ყველა ადგილას, რომლებიც კითხვებშია მითითებული, გარდა ბიბლიოთეკისა, კომპიუტერის კაბინეტებისა და სასადილოსი. ბულინგი ყველაზე ხშირად ხდება სკოლის ეზოში, სკოლის ახლოს მდებარე ხეებით დაფარულ ადგილას, დერეფნებში, ასევე სკოლისაკენ მიმავალ და სკოლიდან მომავალ გზაზე. ეს არის ის ადგილები, სადაც ბავშვებზე ნაკლებად სავარაუდოა, რომ რაიმე ზედამხედველობა ხორციელდებოდეს, ან სადაც ისინი არ იქნებიან ჩართულნი კონსტრუქციულ აქტივობებში.

29-ე ცხრილში სიხშირის მიხედვით მოცემულია ის დრო, როდესაც, მოსწავლეების თქმით, ბულინგი ხდება.

ცხრილი 29 ბულინგის დრო - სიხშირე

ბულინგის დრო	კვირაში ბევრჯერ		ყოველ კვირას		ერთხელ ან ორჯერ		არასოდეს		არ შეესაბამება	
	N	%	N	%	N	%	N	%	N	%
სკოლის შემდეგ	146	11.2	100	7.7	404	31.1	449	34.5	201	15.5
შესვენებების განმავლობაში (სადილის დროს, შესვენებაზე)	122	9.4	92	7.1	376	28.9	570	43.8	140	10.8
გაკვეთილებს შორის	63	4.8	85	6.5	319	24.5	676	52.0	157	12.1
შაბათ-კვირას	31	2.4	28	2.2	138	10.6	665	51.2	438	33.7
სკოლამდე	20	1.5	39	3.0	178	13.7	825	63.5	238	18.3
გაკვეთილების განმავლობაში	13	1.0	36	2.8	135	10.4	961	73.9	155	11.9

სკოლასთან დაკავშირებული ბულინგი, ზოგადად, დღის განმავლობაში ხდება ნებისმიერ დროს, ყველაზე ხშირად — სკოლის შემდეგ და შესვენებების განმავლობაში.

აღნიშნული შედეგებიდან ჩანს, რომ ბულინგი სკოლაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეებისათვის სკოლაში წასვლის ან სკოლიდან გამოსვლის დროს. მართალია, ამ პრობლემასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანი იქნება სამიზნე არეალში მოხვედეს „ცხელი წერტილები“ დამატებითი ზედამხედველობისათვის (როგორც არის სკოლის სპორტული მოედანი, სკოლასთან ახლოს მდებარე ხეებით დაფარული ადგილი, ასევე სკოლაში თავშეყრის ადგილები), მაგრამ ყველაზე ქმედითი პოლიტიკა და სტრატეგიები ბულინგის შესამცირებლად ისინია, რომლებიც ძალადობის შემცირებაზე მიმართული სკოლის პოლიტიკისა და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბულინგთან ბრძოლის ცალკეულ კამპანიებს იშვიათად აქვს ხოლმე გრძელვადიანი ეფექტი.

შეჯამება და რეკომენდაციები

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (2005 წლის 8 აპრილი) მიხედვით, სასკოლო დისციპლინის მეთოდი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის თავისუფლებებსა და ღირსებას (კანონის მე-19 მუხლი). სკოლებში დაუშვებელია ძალადობა მოსწავლის მიმართ და სკოლამ უნდა იმოქმედოს, როცა ადგილი აქვს ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას (კანონის მე-20 მუხლი).

აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, სკოლამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა და პროცედურები ძალადობის ფაქტების დროულად იდენტიფიცირებისა და მათზე შესაბამისი რეაგირებისათვის.

საქართველოში ბავშვებისა და ახალგაზრდების თქმით, სკოლებში ძალიან მაღალია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი. სქესობრივი ძალადობა, ზოგადად, გაცილებით ნაკლებად არის ხოლმე მითითებული. ბიჭები უფრო ხშირად აღნიშნავენ ყველა ტიპის ძალადობას. რაც უფრო იზრდება ბავშვის ასაკი, მით უფრო მცირდება ფიზიკური ძალადობა. უფროსები და ბავშვები ხშირად თვითონ არიან ხოლმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ინიციატორები. ამის საპირისპიროდ, სქესობრივი ძალადობის უმრავლესი შემთხვევების ჩამდენებად ბავშვები და ახალგაზრდები გვევლინებიან ხოლმე.

რაც შეეხება ფიზიკური ძალადობის ტიპებს, ბავშვები და ახალგაზრდები ყველაზე ხშირად ასახელებენ ხელზე ან მკლავზე დარტყმას (ყველაზე ხშირად ბავშვის მიერ), ყურის აწევას (ყველაზე ხშირად უფროსის მიერ), თმის მოწინკვნას (უფრო ხშირად უფროსების მიერ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ბავშვების მიერაც), ტყენას (უფრო მეტად ბავშვის მიერ) და თავში ან სახეში გარტყმას (უფრო ხშირად ბავშვის მიერ). ფიზიკური ძალადობის მწვავე ფორმები (თითების მტკრევა, გაჭრა, დახრჩობა, დანვა) ნაკლები სიხშირით სახელდება და ეს ყველაზე ხშირად ბავშვების, და არა უფროსების, მხრიდან ხდება. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ტიპებია ყვირილი, გინება, ცუდი ნიშნებით დამუქრება, მეტსახელების დაძახება. ასევე ხდება შეურაცხყოფა, გამასხარავება, ნივთების მოპარვა. ყველა სახის სქესობრივი ძალადობის ინიციატორები იყვნენ ბავშვები და ახალგაზრდები, ხოლო ყველაზე გავრცელებული ძალადობრივი საქციელი იყო პორნოგრაფიის ჩვენება (4.5%) და იძულებით კოცნა (0.8%).

რაც შეეხება ბულინგს, მიღებული ინფორმაციის თანახმად, ის ყველაზე ხშირად სკოლის ეზოში, ასევე სკოლის გარშემო მდებარე ხეებით დაფარულ ადგილას და, უმეტესწილად, სკოლის შემდეგ ხდება, თუმცა ბულინგისათვის ხელსაყრელ კონტექსტად სხვა ადგილები და დროც ხშირად განიხილება.

ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად აღნიშნავენ, რომ დადებითია დამოკიდებულება სკოლის მიმართ, ურთიერთობა მოსწავლეებს შორის, მოპყრობა მასწავლებლების მიერ და მშობლების პოზიცია. ეს ძალიან დადებითი ვითარებაა და წარმოადგენს ძლიერ მხარეს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია სკოლის ისეთი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას მშობლებთან/მზრუნველებთან და ოჯახთან.

აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლებისა და ოჯახების ერთობლივად მუშაობა, რათა შემცირდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობა. ბევრ სხვა მიზეზს შორის არის ის, რომ ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, რომლებიც უფრო მეტად დგანან ძალადობის რისკის წინაშე თავიანთ სახლებში და დაცვა სჭირდებათ, შეიძლება მეტად გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და შიში უფროსებს სასკოლო გარემოში, სადაც ისინი თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ, ვიდრე სახლში. შესაბამისად, სკოლის გარეთ ბავშვის დაცვის საჭიროება, სავარაუდოდ, უფრო მეტად უნდა იქნეს იდენტიფიცირებული, თუ ბავშვები და მოზარდები თავს უფრო უსაფრთხოდ სკოლაში გრძნობენ.

წინამდებარე კვლევა ნაწილია უფრო დიდი კვლევისა, რომელიც საქართველოში ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობას შეეხება. მასში ქართველი მოსწავლეებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელია დემონსტრირებული. მიღებული შედეგები ავლენს ამგვარი ძალადობის გავრცელებულ ხასიათს და გვაძლევს შესაძლებლობას, დავსახოთ შესაძლო სფეროები მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და მათ მიმართ მოპყრობისათვის, მომსახურებათა შემუშავებისათვის, ასევე საქართველოს სკოლებში ძალადობის თავიდან აცილებისათვის.

წინამდებარე კვლევის შედეგები ეხმაურება სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევათა შედეგებს, რომლებიც მიუთითებს, რომ, ჩვეულებრივ, სკოლები უფრო უსაფრთხო ადგილებია ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ვიდრე სხვა ადგილები საზოგადოებაში. ეს არ შეიძლება იყოს გულის დაშვებების მიზეზი, მაგრამ დასაფასებელია ის, რასაც სკოლები აკეთებენ იმისათვის, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა იქ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ.

რეკომენდაციები:

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები შემუშავდა კვლევის ავტორების მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე მათი კონსულტანტების დახმარებით.

სკოლებში ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა ხელს უშლის ბავშვებს განათლების მიღებაში და ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებაში. არ შეიძლება ტოლერანტულები ვიყოთ სკოლებში ძალადობის მიმართ და ეს ეროვნული განსჯის საგანი უნდა გახდეს.

- ა. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უნდა შემუშავდეს „უსაფრთხო სკოლების ეროვნული პოლიტიკა“. მას მხარს უნდა უჭერდეს ეროვნული სტრატეგია თავისი ხარჯთეფექტური დაფინანსებით და ხელმძღვანელობით სკოლებისათვის, თუ როგორ უნდა შეიქმნას და შენარჩუნდეს უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის. შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი კანონმდებლობა, რათა უფრო ნათლად განისაზღვროს უფლებები და მოვალეობები სკოლებში, რის საფუძველზეც მოხდება საკუთარი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება ძალადობის შესამცირებლად, ასევე სკოლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

- ბ. უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული ფორუმი სკოლაში ძალადობის შემცირებისათვის, რათა მონიტორინგი გაენიოს ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის განუხრელ განხორციელებას და დახვეწას, ასევე უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვებისა და მოზარდების უფლება, მიიღონ განათლება ძალადობისგან თავისუფალ სკოლებში.
- გ. სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ ხელი შეუწყოს პროსოციალურ ქცევას, ისინი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სანქციებს ძალადობის აღმოსაფხვრელად. ისინი მიმართული უნდა იყოს პრევენციაზე, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს ისეთი კლიმატი, სადაც ძალადობა არ დაიშვება და სადაც ძალადობა ვერ იარსებებს. გარდა ამისა, დროულად უნდა გამოვლინდეს ძალადობის შემთხვევები და მათზე შესაბამისი რეაგირება უნდა განხორციელდეს. სკოლებში მხარი უნდა დაეჭიროს არამოძალადებრივი და პროსოციალური ქცევის დადებით მოდელირებას პერსონალის პროფესიონალურ განვითარებაში ტრენინგით, რაც ყველა სკოლაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
- დ. კვლევაში მითითებულია, რომ საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. გარდა ამისა, სკოლას ეფექტურად უნდა შეეძლოს ძალადობის შემცირება. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, სკოლებში შემოღებული უნდა იქნეს შიდა განხილვის მექანიზმი, რომელიც შეიძლება მარტივად და რეგულარულად იქნეს ადმინისტრირებული და რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ზომებს სხვადასხვა დონისა და ხასიათის ძალადობრივი ქცევის, არამედ ასევე პროსოციალური ქცევის ყველა დონისა და ხასიათის მიმართ. გარდა ამისა, სკოლაში ძალადობის შიდა განხილვაში უნდა შევიდეს ინფორმაცია, თუ როგორ უმჯობესდება სკოლის სტრუქტურა და შესაძლებლობა ამ საკითხების გადაჭრის კუთხით. წინამდებარე კვლევაზე დაყრდნობით მომზადდება სასარგებლო საბაზისო მონაცემები მიმდინარე მონიტორინგისათვის, რითაც შეიძლება გაიზომოს სამომავლო სამუშაოს ზეგავლენა სკოლებში ძალადობის შიდა განხილვის მექანიზმის გამოყენებით.
- ე. ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უნდა გადამზადდნენ პროფესიონალები საქართველოს ყველა რეგიონში (სოფლების ჩათვლით) ბავშვების მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მართვის კუთხით. ეს ეხება სკოლის ფსიქოლოგებსაც, რომელთაც უნდა შეეძლოთ ადეკვატური მხარდაჭერა ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე ბავშვებისა და მოზარდებისთვის დახმარების განწევა კრიზისულ სიტუაციათა მართვაში.
- ვ. ბუღინგი ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში, მათ შორის სკოლებშიც, შეინიშნება. მთელი ქვეყნის სკოლებში საჭიროა პრევენციული პროგრამების შემოღება და ეს ძალადობის შემცირების სასკოლო სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მიდგომები ბუღინგის შემცირების მიმართ და ბუღინგის მსხვერპლთა დახმარება შეტანილი უნდა იქნეს სკოლის სასწავლო პროგრამაში როგორც სასწავლო პროგრამების ნაწილი პერსონალური და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

კონკრეტული რეკომენდაციები „ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის“ შემუშავების ხელშესაწყობად სკოლებში ძალადობის შემცირების მიზნით

1. საქართველოს სკოლებში ძალადობის დონეების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია მიიღოს ამ საკითხების მოსაგვარებლად. ეს პოლიტიკა და სტრატეგია არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სადამსჯელო რეაგირებას, როცა ძალადობას ექნება ადგილი. ამგვარი რეაგირება დაბალანსებული უნდა იყოს პროაქტიული და პრევენციული რეაგირებით. აღნიშნული მიდგომის მეშვეობით მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ სათანადო სოციალური და ემოციური უნარები, რათა ამის დახ-

- მარებით ისწავლონ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ არამოძალადეობრივად მაშინაც კი, როცა გაბრაზებულები არიან ან პროვოცირებას უკეთებენ.
2. ანგარიშში მითითებულია კავშირი ძალადობასა და სკოლაში მოსწავლის გამოცდილებას შორის. ამ კონტექსტში სკოლებს აშკარად ეკისრებათ ვალდებულება და ისინი მხარდაჭერას საჭიროებენ სკოლაში ყველასათვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.
 3. უფრო დადებითი ქცევის განვითარება უნდა მოიცავდეს სამიზნეების დასახვას ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე, რათა პასუხი გაეცეს შეკითხვას: „ეს არის, რაც გვაქვს – რა გვინდა ამის ნაცვლად?“
 4. უწყვეტი მონიტორინგისა და გადასინჯვის პროცესი სკოლებში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე, არსებითი მნიშვნელობისა იქნება, რათა წარმოაჩინოს „ეროვნული უსაფრთხო სკოლების პოლიტიკის“ განხორციელების პროგრესი. შიდა განხილვა სკოლებში, რომლის შეტანაც შემოთავაზებულია ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიაში, დაემყარება სათანადო მონაცემების წყაროებს სტრატეგიების ეფექტურობის გასაზომად და განაგრძობს ამ წყაროების განვითარებას.
 5. სკოლის სამოქმედო გეგმებში პოტენციური ჩართვის რამდენიმე მაგალითი მოცემულია კვლევის მონაცემებთან დაკავშირებულ შენიშვნებში, სხვა მაგალითები კი მკაფიოდ არის განსაზღვრული და საჭიროა მათი მხარდაჭერა ინდივიდუალური სკოლების შიდა განხილვის მონაცემებით – როგორც არის, მაგალითად, ძალადობის „მიმზიდველობისა“ და ბანდის წევრობის მიმართ ბიჭების დამოკიდებულების შეცვლა, ასევე იმის დემონსტრირება, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის აღმოფხვრა ისეთივე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც ფიზიკური ძალადობისა.
 6. ანგარიშში მითითებულია, რომ ძალადობა მთელი თავისი ფორმებით ფართოდ გავრცელებული პრობლემაა თბილისშიც და რეგიონებშიც; მითითებულია, აგრეთვე, რომ უფროსების ძალადობა ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებისათვის. ამის გამოსასწორებლად სკოლების ყველა თანამშრომელმა უნდა მიიღოს დახმარება და ტრენინგი იმაში, თუ როგორ მართოს კონფლიქტური სიტუაციები და თავიდან აიცილოს ძალადობრივი ქცევა, როგორ შეძლოს ამის მიღწევა ისე, რომ ბავშვებისათვის მუდმივად დადებითი მაგალითის მიმწოდებელი იყოს.
 7. სკოლის დირექტორებს დახმარება დასჭირდებათ, რათა ჩამოაყალიბონ და შეინარჩუნონ ერთიანი მიდგომა სკოლაში და უზრუნველყონ მრავალმხრივი და მიმდინარე პროფესიონალური განვითარება სკოლის მთელი პერსონალისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი მოსწავლე განიცდის სკოლაში სხვადასხვა სახის ძალადობას, რის მოსაგვარებლადაც არ არის მოსალოდნელი, რომ ერთი გამოსავალი არსებობდეს. სკოლის თანამშრომლები უნდა გადაამზადდნენ, რათა ეფექტურად შეიმუშაონ მიდგომები სკოლაში ისეთი კლიმატის შესაქმნელად, სადაც მოძალადეობრივი ქცევა არ იქნება დაშვებული და ვერ განხორციელდება.
 8. სკოლების თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებამ და კარგი პრაქტიკის გაზიარებამ შეიძლება საუკეთესო შედეგი მოიტანოს და სკოლაში ძალადობა შეამციროს.
 9. შედეგები მიუთითებს, რომ ზოგადად საქართველოში მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი მასწავლებლების მიმართ. ეს შედეგი ძალიან კარგ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სკოლის დონეზე მოძიებული იქნეს გამოსავალზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც უფროსებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის ტოლერანტობასა და პატივისცემას ეფუძნება.
 10. იმის გათვალისწინებით, რომ, ანგარიშში მითითებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს სკოლებში ძალადობის ინიციატორები და ობიექტები უფრო დაბალი ასაკის ბავშვები არიან, ეროვნული მიდგომის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარ-

მოადგენს სტრატეგია იმის გამოსავლენად, თუ რომელი ბავშვები არიან რისკის ზღვარზე, და ადრეული ჩარევა ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

11. ანგარიში (სხვა კვლევების მსგავსად) ისეთი ძალადობის მაღალ მაჩვენებელს მიუთითებს, როცა მოძალადეც და მსხვერპლიც მოსწავლეები არიან. აღნიშნულ მდგომარეობაზე რეაგირება იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემების გაძლიერება სკოლებში. ეს მოიცავს თანატოლთა თაოსნობით წარმართული ინიციატივების გაფართოებას. ამგვარი ღონისძიებების დროს იმ მოსწავლეებს, რომელთაც სხვაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, ექმნებათ შესაძლებლობა, განავითარონ და გამოიყენონ თავიანთი პერსონალური და სოციალური უნარები, რაც ხელსაყრელ გარემოს უზრუნველყოფს სკოლაში არამოძალადეობრივი კლიმატის შექმნისათვის.
12. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ძალადობა ხდება ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლამდე და სკოლის შემდეგ. ყველა პოლიტიკისა და სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება მშობლებთან, სხვა უფროსებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საერთო შეხედულებებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული აქტიური პარტნიორობის ჩამოყალიბება და გამოყენება.
